საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის ოქმი N3

ქ. თბილისი 06 სექტემბერი 2013 წ.

შესყიდვის საგანი: ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქუჩა N113-ში მდებარე შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი 62.09.29.020), ქ. ხაშურში, რუსთაველის ქ. N38-ში მდებარე შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი 69.08.63.102) სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების და ქ. ხაშურში, რუსთაველის ქ. N38-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი 69.08.63.191) სახურავის მოთუთიებული თუნუქით მოწყობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის (N901; 20.08.2013) საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

-მერაბ მენაბდე	მინისტრის მოადგილე
-კობა ხუბუნაია	საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
- მურად აბლოთია	დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
-ზაზა იმედაშვილი	მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
- კახაბერ პეტრიაშვილი	იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
-კახაბერ ჩხარტიშვილი	ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

- გია ნაჭყებია	ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
- დავით ლოლაძე	სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე
- მაიკო მიქაია	სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

შვებულებაში ყოფნის გამო, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას არ ესწრებოდა სატენდერო(საკონკურსო) კომისიის თავჯდომარე - გოგი ფაცაცია.

დღის წესრიგი:

1. ქ. ახალციხეში, რუსთაველის ქუჩა N113-ში მდებარე შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი 62.09.29.020), ქ. ხაშურში, რუსთაველის ქ. N38-ში მდებარე შენობა-ნაგებობების (საკადასტრო კოდი 69.08.63.102) სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების და ქ. ხაშურში, რუსთაველის ქ. N38-ში მდებარე შენობა-ნაგებობის (საკადასტრო კოდი 69.08.63.191) სახურავის მოთუთიებული თუნუქით მოწყობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ელექტრონული „კონკურსის" (N901; 20.08.2013) შედეგების განხილვა.
2. კონკურსში (N901; 20.08.2013) მონაწილე კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ მოისმინა:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ სატენდერო (საკონკურსო) კომისიას გააცნო ინფორმაცია ზემოაღნიშნულ შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული კონკურსის შედეგების შესახებ, რომლის თანახმად ელექტრონულ კონკურსში (N901; 20.08.2013) თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა და მონაწილეობდა 1 (ერთი) კონკურსანტი:

1. შპს "არტბერი";

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება განსახილველად გადაეცა სამინისტოს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციის საკონკურსო განცხადებაში გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დასადგენად. (ოქმი N2, 27.08.2013წ)

კონკურსანტის მიერ წარმოდგენლი საკონკურსო წინადადებების ღირებულებება შეადგენს 19 375 (ცხრამეტი ათას სამას სამოცდათხუთმეტი) ლარს.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ განიხილა:

კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, რის შემდეგაც, შპს "არტბერი"-ს მიერ წარმოდგენილ არქიტექტურული დაგეგმარების კონცეფციაზე მოხსენება გააკეთა სამინისტოს დევნილთა საკითხების დეპარტამენტის ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს წარმომადგენელმა ამირან გოგიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ ტექნიკური ზედამხედველობის სამართველომ განიხილა შპს „არტბერის" მიერ შემოსული საკონკურსო წინადადება ქ.ახალციხეში, რუსთაველის ქუჩა N113-ში (საკადასტრო კოდი 62.09.29.020), ქ. ხაშურში, რუსთაველის ქ. N38-ში (საკადასტრო კოდი 69.08.63.102) მდებარე შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების და ქ. ხაშურში, რუსთაველის ქ. N38-ში (საკადასტრო კოდი 69.08.63.191) მდებარე შენობა-ნაგებობის სახურავის მოთუთიებული თუნუქით მოწყობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩასატარებლად საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე. კონკურსანტს უნდა წარმოედგინა არქიტექტურული დაგეგმარების კონცეფციები საკონკურსო დოკუმენტაციაში მოცემულ სამივე სარეაბილიტაციო ობიექტზე, თუმცა საკონკურსო წინადადებაში არ არის წარმოდგენილი ქ. ხაშურში, რუსთაველის ქ. N38-ში მდებარე შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების არქიტექტურული კონცეფცია, რომელიც ყველაზე დიდი და მნიშვნელოვანი ობიექტია ზემოთაღნიშნულ ობიექტებს შორის.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ განიხილა ელექტრონულ კონკურსში (N901; 20.08.2013) მონაწილე კონკურსანტის შპს "არტბერი"-ს დისკვალიფიკაციის მიზანშეწონილობის საკითხი;
სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრებმა აღნიშნეს, რომ საკონკურსო დოკუმენტაციის შესაბამისად, კონკურსანტს უნდა წარმოედგინა არქიტექტურული დაგეგმარების კონცეფცია საკონკურსო დოკუმენტაციაში მოცემულ სამივე სარეაბილიტაციო ობიექტზე მდებარე შენობა-ნაგებობის სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების ჩატარებისთვის საჭირო სრული და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე, რაც არ შესრულებულა.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ დაადგინა:

1. შპს "არტბერი"-ს მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება არ შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს, კერძოდ:
   საკონკურსო წინადადებაში არ არის წარმოდგენილი ქ. ხაშურში, რუსთაველის ქ. N38-ში (საკადასტრო კოდი 69.08.63.102) მდებარე შენობა-ნაგებობების სარეაბილიტაციო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების არქიტექტურული კონცეფცია.
2. სატენდერო (საკონკურსო) კომისიის გადაწყვეტილებით ელექტრონულ კონკურსში (N901; 20.08.2013) მონაწილე კონკურსანტი - შპს "არტბერი" დისკვალიფიცირებულ იქნას;
3. სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატს დაევალა:
   3.1.წინამდებარე სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა დადგენილი წესით, შედგენისთანავე.
   3.2. კონკურსანტისთვის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

მერაბ მენაბდე

ბობა ხუბუნაია

ზაზა იმედაშვილი

მურად აბლოთია

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

გია ნაჭყებია

დავით ლოლაძე

მაიკო მიქაია